ონის მუნიციპალიტეტის გამგეობა

ონის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბრძანება

ქ. ონი

N 205
16/11/2015

205-02-4-201511161435

ონის მუნიციპალიტეტის გამგებლის სამოქალაქო მრჩევეთა საბჭოს

შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის" 86[1]-ე მუხლის საფუძველზე **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. შეიქმნას ონის მუნიციპალიტეტის გამგებლის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

- ნაზიბროლა გავაშელიშვილი
- ალექსანდრე ნარიძე
- თეიმურაზ გუგეშაშვილი
- ელზა ბერიშვილი
- რაინდი მეტრეველი
- ისმაილ ამშიკაშვილი
- ზაალ ბიძიშვილი
- ნანა მოდებაძე
- ეკა ციხისელი
- თეიმურაზ გობეჯიშვილი

2. დამტკიცდეს ონის მუნიციპალიტეტის გამგებლის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თანდართული დებულება (თან ერთვის).

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ლობჟანიძე

მუნიციპალიტეტის გამგებელი

ონის მუნიციპალიტეტის გამგებლის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს

დებულება

მუხლი 1. ონის მუნიციპალიტეტის გამგებლის სათათბირო ორგანო.

1. ონის მუნიციპალიტეტის გამგებლის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო(შემდგომში ,,საბჭო“) არის გამგებლის სათათბირო ორგანო, რომელიც იქმნება გამგებლის ბრძანებით და საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის“ 86^1 -ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 2. საბჭოს საქმიანობის მიზნები და ამოცანები

1. საბჭოს საქმიანობის მიზანია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის, მუნიციპალიტეტის სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტების, მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ წინადადებების, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების, სოციალური და ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავება და გამგებლისათვის წარდგენა.
2. საბჭო თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და ამ დებულების შესაბამისად.

მუხლი 3. საბჭოს უფლება-მოვალეობანი

საბჭო უფლებამოსილია:

ა) მისთვის დაკისრებული ფუნქციებიდან გამომდინარე მოამზადოს და განსახილველად წარმოადგინოს შესაბამისი რეკომენდაციები და წინადადებები;

ბ) გამგეობიდან, გამგეობის დაქვემდებარებული ორგანიზაციებიდან მიიღოს თავისი მუშაობისათვის საჭირო დოკუმენტები, ცნობები და სხვა მონაცემები;

მუხლი 4. საბჭოს შემადგენლობა

1. საბჭოს შემადგენლობა კომპლექტდება მეწარმე იურიდიული პირების, არასამთავრობო ორგანიზაციების და ფიზიკური პირებით (მოქალაქეებით) არანაკლებ 10 წევრი.
2. საბჭოს შემადგენლობაში ერთი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა არ უნდა იყოს 1/3-ზე ნაკლები.
3. საბჭოს წევრს უფლებამოსილება უწყდება:

   ა) პირადი განცხადებით;

ბ) ობიექტური ან სუბიექტური მიზეზების გამო საბჭოს მუშაობაში ხანგრძლივად (3 თვე) მონაწილეობის მიუღებლობისას;

გ) საბჭოს წარდგინებით (საბჭოს წევრის მიერ დებულების დარღვევის შემთხვევაში).

4. საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს და მოადგილეს.

მუხლი 5. საბჭოს სხდომა და გადაწყვეტილების მიღების წესი

1. საბჭოს სხდომას იწვევს და წარმართავს თავმჯდომარე, ხოლო თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში-მოადგილე. მოადგილის არყოფნის შემთხვევაში, სხდომას წარმართავს საბჭოს უხუცესი წევრი. საბჭო მოიწვევა 3 თვეში ერთხელ მაინც.
2. საბჭოს სხდომის დღის წესრიგს ადგენს საბჭოს თავმჯდომარე საბჭოს წევრების წინადადებების გათვალისწინებით.
3. საბჭოს სახელით გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭიროა სხდომის დამსწრეთა ხმების ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ სიითი შემადგენლობის მესამედისა. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა.
4. საბჭოს სხდომაზე დგება ოქმი.
5. საბჭოს წევრი, რომელიც არ ეთანხმება საბჭოს გადაწყვეტილებას, განსხვავებულ აზრს გამოხატავს წერილობით, რომელიც თან ერთვის სხდომის ოქმს.
6. საბჭოს რიგგარეშე სხდომა შეიძლება მოწვეული იქნეს საბჭოს თავმჯდომარის, წევრთა 1/3–ის და გამგებლის(მოადგილის) მოთხოვნით.

მუხლი 6. საბჭოს თავმჯდომარე და მოადგილე

1. საბჭოს თავმჯდომარე და მოადგილე აირჩევა საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით.
2. საბჭოს თავმჯდომარე:

   ა) წარმართავს საბჭოს საქმიანობას;

   ბ) დასამტკიცებლად წარუდგენს საბჭოს სამუშაო გეგმას;

   გ) იწვევს და წარმართავს საბჭოს სხდომებს;

   დ) წარმოადგენს საბჭოს მესამე პირებთან ურთიერთობისას.
3. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში ასრულებს მის მოვალეობას.

მუხლი 7. საბჭოს წევრის უფლება–მოვალეობანი

საბჭოს წევრი უფლებამოსილია:

ა) მონაწილეობა მიიღოს საბჭოს მუშაობაში, უშუალოდ ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით წარმოადგინოს თავის წინადადებები და რეკომენდაციები საბჭოს მიერ განსახილველ საკითხებზე;

ბ) შეუფერხებლად შეხვდეს გამგეობის თანამდებობის პირებს, გამოითხოვოს და მიიღოს საჭირო ინფორმაცია საბჭოს უფლებამოსილებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

გ) საბჭოს თითოეული წევრი უფლებამოსილია ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით დააფიქსიროს საკუთარი განსხვავებული პირადი პოზიცია საბჭოს სხდომის ოქმში შეტანით და საჯაროდ.

მუხლი 8. საბჭოს უფლებამოსილების შეწყვეტა

საბჭოს დებულებაში ცვლილებების შეტანა ან დებულების გაუქმება ხდება გამგებლის ბრძანებით, საბჭოს წარდგინების საფუძველზე.